



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

### გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 4

ქ. გარდაბანი



22/02/2022

4-06-4-202202221752

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი“ (დანართი N1) და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ამსახველი მონაცემების ცხრილი (დანართი N2).

#### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის №48 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 17/07/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.161.016427)

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

